ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5641257

ნომერი: AR1855675

თარიღი : 15.10.2021

გაცემის თარიღი : 18.10.2021

გაცნობის თარიღი : 18.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი აბაშვილის ქუჩა, N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გურგენიძე პ/ნ 01017004431
- ანჯაფარიძის #7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- იმისათვის რომ დადგინდეს საპროექტო შენობის ზუსტი კვადრატულობა, საჭიროა წარმოადგინოთ ვექტორული ფაილი, რომელიც შესაძლებელია აიტვირთოს "დამატებითი დოკუმენტაციის ველში".
- წარმოსადგენია ახალი დღეის დმგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები გადაღების თარიღის ფიქსაციით.
- ვინაიდან საპროექტო ადგილას ფიქსირდება არსებული ხე-მცენარეები, საჭიროა წარმოადგინოთ არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა და ტაქსაცია, სადაც მითითებული იქნება თუ რომელი ხე–ნარგავი უნდა გადაირგოს ან მოიჭრას. ასევე აღნიშნული დატანილ უნდა იქნას სქემაზეც.
- საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება მილსადენი, მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი (საკ. კოდით #01.01.834) მესაკუთრე შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი". საჭიროა წარმოადგინოთ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.
- განგიმარტავთ, რომ ms.gov.ge-ზე დაემატა „საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორია და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებისთვის უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და განცხადება დაარეგისტრირით ms.gov.ge-ზე („საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორიაში). ხოლო, სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა უნდა შეათანხმოთ ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან.“ საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.